



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ქ. თელავი

16 ივლისი 2018 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 79**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ  
აქტებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების  
**შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 103-ე მუხლის და 106<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**მუხლი 1.** დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღებ შემდეგ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამომრჩევლებისთვის წარსადგენი წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ;
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №07 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
4. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

- მუხლი 2. საკრებულოს კომისიებმა საკითხები განიხილონ 2018 წლის 20 ივლისამდე.
- მუხლი 3. საკრებულოს სხდომაზე ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა განხორციელდეს 2018 წლის 31 ივლისამდე.
- მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი



გიგა ორკოდაშვილი